



ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო
დაწესებულებათა გაერთიანება“

ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო
დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ სხვადასხვა დასახელების ავეჯის
სახელმწიფო შესყიდვა

ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი

2016 წელი

1

სარჩევი

| | |
|---|----|
| 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის | 3 |
| 2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია | 4 |
| 3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი | 6 |
| 4. დამატებითი ინფორმაცია | 13 |
| 5. რეკვიზიტები (დანართი #1) | 14 |
| 6. ფასების ცხრილი (დანართი #2) | 15 |

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა_ შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1 საქონლის მიწოდების პირობები და ვადები:

- 2.1.1 „მიწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ სხვადასხვა დასახელების ავეჯის მიწოდება ფასების ცხრილის შესაბამისად. (დანართი#2).
- 2.1.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 2.1.3 მიწოდებულ ავეჯზე საგარანტიო ვადა ვრცელდება 1 (ერთი) წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზიანება გამოწვეული იქნება მექანიკური ძალის ზემოქმედებით.
- 2.1.4 ავეჯის ტრანსპორტირება და მონტაჟი უნდა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ ადგილას. (რუსთაველის გამზ. #1; თამარ მეფის ქ. #105; წერეთლის ქ. #30; წერეთლის ქ. მე-2 ჩიხი #2; რუსთაველის გამზ.#8; ტაბიძის ქ. #60.)
- 2.1.5 ავეჯის მასალა, ფერი და დიზაინი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.
- 2.1.6 მოსაწოდებელი ავეჯის ვიზუალური ნიმუში და ესკიზები იხილეთ სისტემაში სახელწოდებით „ესკიზი“.

2.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

- ა) რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;
- ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად;

2.3 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაშია მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

2.4 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს: გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში-არანაკლებ 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსი „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ.

2.5 ფასები და ანგარიშსწორების პირობები:

- 2.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით;
- 2.5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.
- 2.5.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.6 სხვა მოთხოვნა:

2.6.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, საექსპერტო დასკვნით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. (დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში).

2.7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

2.7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით აღემატება საქონლის მიწოდების დასრულების ვადას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთის მხრივ, ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი“), მმართველის ელისო ქაროსანიძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მერის 2015 წლის 12 ივნისის #კ 138 ბრძანება; (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ.#1)

მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დადებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი;
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1** ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ სხვადასხვა დასახელების ავეჯის სახელმწიფო შესყიდვა.
- 2.2** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.
- 2.3** კლასიფიკატორის კოდი – 39100000

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1** ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს;
- 3.2** ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1.** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ უფლებამოსილი პირების მიერ.
- 4.2** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;
- 4.3** „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრა.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

- 5.1** „ მიმწოდებელი“ ვალდებულია საქონლის მიწოდება-მონტაჟი განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 5.2 1** „ მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1** „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 6.2** „შემსყიდველი“-ს მიერ მიწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.
- 6.3** შესყიდვის ობიექტის მიწოდებას დაამტკიცებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

გ) მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

– მისაწოდებელი საქონლის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

10.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია

დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის სატენდერო წინადადებით (გრაფიკით) გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.3. ამ ხელშეკრულების 11.2 და 12.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს, რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50 (ორმოცდაათი) %-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ;

11.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითად ვალდებულებების შესრულებისადმი;

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

12.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე;

12.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. გარანტია

13.1 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) წლით, რომლის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

14.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა არანაკლებ ერთი თვით აღემატება საქონლის მიწოდება-მონტაჟის დასრულების ვადას.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან“.

18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

| | |
|---|--|
| <p>ააიპ “ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება” ს/კ412678348;</p> <p>იურიდ. მის: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3;</p> <p>ტელეფონი (0431)24 05 08</p> <p>ბანკი: საქართველოს ხაზინა TRESGE22 სახაზინო კოდი (742967519)</p> <p>ააიპ “ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების”</p> <p>მმართველი</p> <p>_____ /ელისო ქაროსანიძე/</p> | |
|---|--|

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მიმართვის შემთხვევაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, შ.რუსთაველის გამზ. №1. საკონტაქტო პირი : სერგო თევდორაძე T: 591 81 20 43.
ელ.ფოსტა:art.qutaisi@gmail.com

პრეტენდენტის შეთავაზება

| | | |
|---|---|--|
| 1 | პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: | |
| | ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი: | |
| | პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: | |
| | საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| | პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: | |
| | ელექტრონული მისამართი: | |
| | ბანკი: | |
| | ბანკის კოდი: | |
| | ანგარიშის ნომერი: | |
| 2 | სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი: | |

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)-----

| ფასების ცხრილი | | | | | | |
|--|--|--|---|----------------|--------------------------|--------------------------|
| დასახელება | ზომები (მმ-ში) (სიგანე X სიმაღლე X სიღრმე) (a X b X c) | ტექნიკური პარამეტრები | წარმოშობის ქვეყანა/ მწარმოებელი კომპანია | რ-ბა (ცალი) | ერთ-ის ფასი (ლარი) | საერთო ღ-ბა (ლარი) |
| 1 სკამი საოფისე (ესკიზი 1) | ზომები სტანდარტული | ქსოვილის ზედაპირით, ლითონის კარკასი. პროფილი არანაკლებ 30*10*1,5 ფეხები შეკრული რკინის გამირით ფეხების ბოლოები დაფარული პლასტმასის იატაკის დამცავი დაბოლოებებით | | 460 | | |
| 2 მაგიდა დეკორატიული ფეხებით (ესკიზი 2) | 700 X 800 X 500 | თავი დამუშავებული მასივში მასალა: ზედაპირი ლამინირებული მზფ. თავი დამუშავებული მასივში ფეხები-ხე. დაფარული ლაქით | | 1 | | |
| 3 სასწავლო მაგიდა (ესკიზი 3) | 1100 X 750 X 600 | ნახევრადდახურული უჯრების გარეშე 2 მმ-ანი პლასტმასის წიბო თავი დამუშავებული მასივში მასალა: ლამინირებული მზფ | | 20 | | |
| 4 საჭადრაკო მაგიდა (ესკიზი 4) | 1500 X 720 X 700 | ნახევრადდახურული უჯრების გარეშე (თიხარი შუაში) 2 მმ-ანი პლასტმასის წიბო თავი დამუშავებული მასივში მასალა: ლამინირებული მზფ | | 10 | | |
| 5 ტუმბო (ესკიზი 5) | ზომები ნახაზზე | ზედა ნაწილში ამოჭრილი ოვალური სახელური მასალა: 10 მმ-ანი ფანერა | | 30 | | |
| 6 სახაზავი დაფა | 650 X 500 | მასალა: 10 მმ-ანი ფანერა. კედლები დამუშავებული ზუმფარით. | | 30 | | |

| | | | | | | | |
|---|----------------------------------|----------------|---|--|----|--|--|
| 7 | დეკორატიული მაგიდა (ესკიზი 6) | ზომები ნახაზზე | მასალა: მდგ 2 მმ-ანი პლასტმასის წიბო თავი დამუშავებული მასივში | | 4 | | |
| 8 | ღია სტელაჟი კუთხის (ესკიზი 7) | ზომები ნახაზზე | 8 თარო. 2 მმ-ანი პლასტმასის წიბო თავი დამუშავებული მასივში მასალა: ლამინირებული მზგ ადგილზე მონტაჟით | | 1 | | |
| 9 | მოლბერტი (ესკიზი 8) | ზომები ნახაზზე | 20 * 40 მმ ხის მასალა (წიფელა) | | 20 | | |